

შპს აისბერგ ფოთის
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს აისბერგ ფოთის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	კომ.	31.12.22	31.12.21
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	559 900,96	536 141,79
სავაჭრო მოთხოვნები	4	1 788 094,86	918 861,87
მარაგები		204 869,87	183 052,10
წინასწარ გაწეული ხარჯები		7 698,76	7 698,76
		2 560 564,45	1 645 754,52
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	6 209 914,45	6 799 545,99
		6 209 914,45	6 799 545,99
		8 770 478,90	8 445 300,51
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	100 118,31	55 091,39
		100 118,31	55 091,39
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		654 623,46	1 160 954,40
		654 623,46	1 160 954,40
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		6 566 548,47	5 780 066,06
რეზერვები და დაფინანსება		1 449 188,66	1 449 188,66
		8 015 737,13	7 229 254,72
		8 770 478,90	8 445 300,51

დირექტორი

მ. სულაძე


[Handwritten signature]



შპს აისბერგ ფოთის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით (ლარი)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება		
	2022	2021
ამონაგები მომსახურებიდან	11 694 543,27	11 830 486,78
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	74 314,76	18 986,48
ამონაგების თვითღირებულება	(64 035,50)	(17 654,45)
საერთო მოგება	11 704 822,53	11 831 818,81
წმინდა სხვა შემოსავალი	22 552,89	53 357,29
დასაქმებულთა ანაზღაურება	(3 205 592,91)	(3 393 676,10)
ცვეთა და ამორტიზაცია	(666 961,13)	(769 133,16)
საპროცენტო ხარჯი	(68 614,63)	(100 167,79)
იჯარის ხარჯი	(1 125,00)	(3 250,00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(4 351 985,96)	(3 632 824,26)
სულ საოპერაციო ხარჯები	(8 271 726,74)	(7 845 694,02)
საოპერაციო მოგება	3 433 095,79	3 986 124,79
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(11 517,27)	(113 758,10)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახდამდე	3 421 578,52	3 872 366,69
მოგების გადასახადი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3 421 578,52	3 872 366,69
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	7 229 254,74	5 871 992,00
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(2 635 096,11)	(2 515 103,95)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8 015 737,15	7 229 254,74

დირექტორი
მ. სულაძე




სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აისბერგ ფოთის (ს/ნ 404879985, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2010 წლის 28 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ფოთი, ლარნაკას ქ., N7.

კომპანიის მფლობელები არიან:

- შპს ბ & ჯ (ს/ნ 202218803) - 70%;
- იგორ მარტინოვი (პასპორტი 08564756) - 30%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - მიხეილ სულაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშრალი და სველი თვრთების შენახვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

შპს აისბერგ ფოთის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით (ლარი)

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო

თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები	31.12.22	31.12.21
ნაღდი ფული	653,90	362,90
ფული ბანკში	559 247,06	535 778,89
	559 900,96	536 141,79

4. სავაჭრო მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.22	31.12.21
მოთხოვნები მომსახურებიდან	1 635 858,29	876 365,02
მოთხოვნები პერსონალისადმი	1 897,80	8 594,26
გასაცემი დივიდენდები	-	5 180,89
გაცემული ავანსები	46 076,51	2 242,56
საგადასახდო აქტივი	104 262,26	26 479,14
	1 788 094,86	918 861,87

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.2021	წმინდა ცვლილება	31.12.22
ისტორიული ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	597 977,16	-	597 977,16
მიმოსვლის გზები	958 101,92	61 041,53	1 019 143,45
შენობება ნაგებობები	4 185 014,38	-	4 185 014,38
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	1 250,00	1 250,00
მანქანა დანადგარები	7 071 690,43	7 718,40	7 079 408,83
ოფისის აღჭურვილობა	167 369,74	7 313,04	174 682,78
სატრანსპორტო საშუალებები	64 047,00	-	64 047,00
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	215 651,97	-	215 651,97
არამატერიალური აქტივები	125 495,29	-	125 495,29
	13 385 347,89	77 322,97	13 462 670,86
აკუმულირებული ცვეთა			
მიმოსვლის გზები	(533 324,36)	(72 390,83)	(605 715,19)
შენობება ნაგებობები	(1 223 588,47)	(148 071,32)	(1 371 659,79)
მანქანა დანადგარები	(4 583 438,49)	(410 601,91)	(4 994 040,40)
ოფისის აღჭურვილობა	(92 885,65)	(16 315,33)	(109 200,98)
სატრანსპორტო საშუალებები	(38 172,63)	(5 174,87)	(43 347,50)
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	(29 334,38)	(8 334,63)	(37 669,01)
არამატერიალური აქტივები	(85 057,92)	(6 065,62)	(91 123,54)
	(6 585 801,90)	(666 954,51)	(7 252 756,41)
საბალანსო ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	597 977,16	-	597 977,16
მიმოსვლის გზები	424 777,56	-	413 428,26
შენობება ნაგებობები	2 961 425,91	-	2 813 354,59
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	1 250,00
მანქანა დანადგარები	2 488 251,94	-	2 085 368,43

შპს აისბერგ ფოთის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით (ლარი)

ოფისის აღჭურვილობა	74 484,09	-	65 481,80
სატრანსპორტო საშუალებები	25 874,37	-	20 699,50
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	186 317,59	-	177 982,96
არამატერიალური აქტივები	40 437,37	-	34 371,75
	6 799 545,99	-	6 209 914,45

6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	31.12.22	31.12.21
მომწოდებლები	100 118,31	55 091,39
	100 118,31	55 091,39